

შპს „ამბიენს“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ამბიენს“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11698299	7139618	3210093	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1040713	4120623	2812458	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	94390	80	12335	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	5402074	6608973	2006903	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	5402074	6608973	2006903	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12958	24636	58226	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	188	755	1322	
ძირითადი საშუალებები	161807	183060	197031	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	18410429	18077745	8298368	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	4840418	6381630	1729563	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1232	841	453	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	30684	265132		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4872334	6647603	1730016	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	13536221	11428269	6566560	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1874	1873	1792	
სულ საკუთარი კაპიტალი	13538095	11430142	6568352	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18410429	18077745	8298368	
სულ მოკლევადიანი აქტივები	18248434	17893930	8100015	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4872334	6647603	1730016	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.				
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „ამბიენს“				
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
		საანგარიშგებო პერიოდი		
		2021	2020	შენიშვნა
ნეტო ამონაგები		12692357	12540999	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		12319501	12446236	
- მომსახურების გაწევიდან		372856	94763	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან				
- სხვა ამონაგები				
გაყიდვების თვითღირებულება		-8105886	-8123160	3.5
საერთო მოგება		4586471	4417839	
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
დასაქმებულთა ანაზღაურება		-689512	-547285	
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი		-21820	-23275	
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი				
იჯარის ხარჯი		-37630	-36221	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-802301	-509341	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები		-1551263	-1116122	
საოპერაციო მოგება		3035208	3301717	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა				
მ.შ. - ფინანსური აქტივების				
- მარაგების				
- სხვა არაფინანსური აქტივების				
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.		-788522	1104458	3.7
მიღებული დივიდენდები				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		71757	803261	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან		2318443	5209436	
მოგების გადასახადის ხარჯი		-29527	-52159	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		2288916	5157277	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი				
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)				
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		2288916	5157277	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		11430142	6568352	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-165447	-295568	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-15516		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			81	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		13538095	11430142	3.4
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.				
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „ამბიენს“			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
		საანგარიშგებო პერიოდი	
		2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5386414	3625521
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები			-8738
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-157175	-280790
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში		5229239	3335993
სავალუტო კურსის ეფექტი		-670558	593532
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		7139618	3210093
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		11698299	7139618
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.			
დირექტორი: _____		რ. ნამაზოვი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამბიენს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 12 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401954122, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ., კორპ. N51, ბინა N89. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. N 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: 75% - რასიმ ნამაზოვი (1CH8ZYZR, C00997869, P5300186 /აზერბაიჯანი/), 25% - შახლა მამედოვა (1W18RS9, C00987559 /აზერბაიჯანი/).

კომპანიის დირექტორია რასიმ ნამაზოვი (პ/ნ 01024017561).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პოლონეთიდან მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეექსპორტი აზერბაიჯანში. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა ფარმაცონსალტინგი და მედიკამენტების რეგისტრაცია.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი (წარმომადგენლობა) აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 20 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (შენიშვნა: ამჟამად, ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად აღარ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	4756	27650
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	10757214	7041060
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	936167	70237
ფული საბანკო ანგარიშებზე (აზერბაიჯანი)	163	671
სულ:	11698299	7139618

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეექსპორტისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული საქონელი	5402028	6608927
საწვავ-საცხები მასალები	46	46
სულ:	5402074	6608973

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2020	დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2020	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2021	დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2021
ძირითადი საშუალებები აზერბაიჯანში	204345.13	27065.23	177279.90	204345.13	46625.98	157719.15
კავშირგაბმულობის საშუალებები	6424.58	2204.19	4220.39	6424.58	3489.11	2935.47
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა მოწყობილობები	8729.62	7170.30	1559.32	8729.62	7577.08	1152.54
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	12785.58	12785.58	0.00	12785.58	12785.58	0.00
მცირეფასიანი ავეჯი	1050.86	1050.86	0.00	1050.86	1050.86	0.00
სრულად	233335.77	50276.16	183059.61	233335.77	71528.61	161807.16

3.4. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2018 წლის ბოლოს მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის სიდიდეს 2020 და 2021 წლების ბოლოსთვის, მასში, გარდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა, ჩართულია აზერბაიჯანის ფილიალთან მომხდარი ოპერაციებიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობა, რომელიც არ მიეკუთვნება მოგება-ზარალს, არამედ აღიარდება როგორც სხვა სრული შემოსავალი.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021 წელი	2020 წელი
საქონლის რეექსპორტი	12319501	12446236
ფარმაცონსალტინგი	151584	24235
წამლების რეგისტრაცია	221272	70528
სულ:	12692357	12540999

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2021 წ. – 8105886 ლარი, 2020 წ. – 8123160 ლარი) მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის (მედიკამენტების)

თვითღირებულებისაგან, რომელიც იმპორტირდება პოლონეთიდან და ექსპორტირდება აზერბაიჯანში.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
მიწოდების ხარჯები	30602	869
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8034	18444
დაზღვევა		
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	50	67
მივლინების ხარჯები	64795	48556
ელ.ენერგია, გაზი, წყალი	1734	1415
„ავერსის“ მომსახურება	248375	256057
საკომუნიკაციო ხარჯები	1650	1766
საბანკო ხარჯები	10815	8354
აზერბაიჯანის ფილიალის ხარჯები	422686	165744
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	13561	8070
სულ:	802301	509341

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2021 წელი	2020 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	89126	1247277
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-877648	-142819
სულ:	-788522	1104458

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიაში 2020 წელს გაცემული იქნა დივიდენდი 299568 ლარის ოდენობით, რომლის შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა: $(299568/0.85)*15\%=52159$ ლარი. 2021 წელს კი გაცემული იქნა დივიდენდი 165447 ლარის ოდენობით, რომლის შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა: $(165447/0.85)*15\%=29197$ ლარი. საქმიანობის შედეგების (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში მოგების გადასახადის მუხლში ასევე ასახულია კომპანიის აზერბაიჯანის ფილიალის მიერ გადახდილი მოგების გადასახადი 330 ლარი.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 26 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ამბიენს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11698299	7139618	3210093	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1040713	4120623	2812458	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	94390	80	12335	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	5402074	6608973	2006903	3.2
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა	5402074	6608973	2006903	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12958	24636	58226	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	188	755	1322	
ძირითადი საშუალებები	161807	183060	197031	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	18410429	18077745	8298368	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი	4840418	6381630	1729563	
სავაჭრო ვალდებულებები				
ანარიცხები	1232	841	453	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	30684	265132		
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4872334	6647603	1730016	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები	13536221	11428269	6566560	
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი				
გადაფასების რეზერვი	1874	1873	1792	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	13538095	11430142	6568352	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18410429	18077745	8298368	
სულ მოკლევადიანი აქტივები	18248434	17893930	8100015	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4872334	6647603	1730016	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.

დირექტორი:

Rasim Nazarov

რ. ნამაზოვი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ამბიენს“

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	12692357	12540999	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12319501	12446236	
- მომსახურების გაწევიდან	372856	94763	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-8105886	-8123160	3.5
საერთო მოგება	4586471	4417839	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.6
დასაქმებულთა ანაზღაურება	-689512	-547285	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-21820	-23275	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-37630	-36221	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-802301	-509341	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1551263	-1116122	
საოპერაციო მოგება	3035208	3301717	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.7
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით გაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-788522	1104458	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	71757	803261	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2318443	5209436	
მოგების გადასახადის ხარჯი	-29527	-52159	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2288916	5157277	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.4
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	2288916	5157277	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11430142	6568352	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-165447	-295568	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-15516		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		81	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	13538095	11430142	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.

დირექტორი: ბაქო მამაზოვი რ. ნამაზოვი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ამბიენს“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5386414	3625521
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-8738	-8738
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-157175	-280790
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	5229239	3335993
სავალუტო კურსის ეფექტი	-670558	593532
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	7139618	3210093
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	11698299	7139618

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 26.09.2022 წ.

დირექტორი: Rashid Nomozov რ. ნამაზოვი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.